მშობლის და აღმზრდელის პერსპექტივა სსმ ბავშვის მხარდაჭერაზე საბავშვო ბაღში

მარიამ ყორღანაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სპეციალური განათლების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა დოლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

“როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორის მიერ აქამდე გამოსაქვეყნებლად გამზადებულ, ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის გარკვეული პასაჟები გამოყენებულია სამაგისტრო სემინარის დავალების ფარგლებში.”

მარიამ ყორღანაშვილი

თარიღი: 15.06.2023

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი თემის ხელმძღვანელს ხათუნა დოლიძეს იმ დახმარებისათვის, რაც თემაზე მუშაობისას გამიწია. ხათუნა აქტიურად იყო ჩართული კვლევაზე მუშაობის დაწყების პირველივე დღიდან. მისმა რეკომენდაციებმა და უკუკავშირმა დიდი დახმარება გამიწია. მადლობას ვუხდი ქ. თბილისის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორებს, აღმზრდელებს, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებს და ტიპური განვითარების მქონე მშობლებს კვლევაში ჩართვისა და აქტიური თანამშრომლობისთვის. ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო თამარ საღინაძეს და ლიკა ქურციკიძეს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისათვის.

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია აღმზრდელის და მშობლის პერსპექტივების შესწავლა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის მხარდაჭერასთან დაკავშირებით.

ნაშრომი მიმოიხილავს სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელების ხედვას და პერსპექტივას საბავშო ბაღში სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მხარდაჭერასთან დაკავშირებით, ასევე მშობლების (როგორც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის ასევე ტიპური განვითარების მქონე ბავშვის) პერსპექტივებს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის საბავშვო ბაღში მხარდაჭერასთან დაკავშირებით. ნაშრომი მიმოიხილავს ასევე აღმზრდელებისა და მშობლების ხედვას სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის მხარდაჭერის პროცესში, საკუთარ და ერთმანეთის როლებსა და პასუხისმგებლობებზე, ასევე აღმზრდელებისა და მშობლების ხედვას, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის/ბავშვების თანატოლებთან კომუნიკაციისა და ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდები. ჩატარდა ფოკუს ჯგუფი აღმზრდელებთან, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებთან და ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებთან. კვლევა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. ამ დისკუსიების ფარგლებში ვიმსჯელეთ როგორც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის მიმდინარე პრაქტიკასა და გამოწვევაზე, ასევე ამ გამოწვევების დაძლევის გზებზე.

ნაშრომში შეჯამებულია საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. დაკუმენტების ანალიზისა და რესპონდენტებისგან შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავებულია დასკვნები, მიმდინარე პრაქტიკის შესახებ სამიზნე დაწესებულებებში და რეკომენდაციები ამ პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

Abstract

The purpose of the presented paper is to study the perspectives of the educator and the parent regarding the support of a child with special needs.

The paper reviews the vision and perspective of preschool educators regarding the support of children with special needs in kindergarten. As well as the perspectives of parents (both of a child with special needs and a child with typical development) regarding support of a child with special needs in kindergarten. The working paper also reviews of educators and parents in the process of supporting a child with special needs, their own and each other's roles and liabilities, as well as the view of educators and parents about the link and commonly relationships of the child/children with special needs.

Qualitative research methods are used in the work. A focus group was conducted with educators, parents of children with special needs and parents of children with typical development, the survey was conducted online. During these discussions, we discussed the current practices and challenges of working with children with special needs, as well as ways to overcome these challenges.

The paper summarizes the scientific literature surrounding the issue. Based on document analysis and information collected from respondents, conclusions about current practices in the target institutions and recommendations for improving these practices are developed.